საქართველოს მთავრობის განკარგულება

№957 2018 წლის 3 მაისი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. 2017-2018 წლებში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 5 085 000 (ხუთი მილიონ ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 700 000 (ერთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარისა;

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

გ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 790 000 (შვიდას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

დ) ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 720 000 (შვიდას ოცი ათასი) ლარისა;

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 695 000 (ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი